



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA08016262264419

№ 2559

07 / ივნისი / 2019 წ.

**შპს „ჯავას“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 28 მაისს წარმოდგენილ იქნა შპს „ჯავას“ (ს/ნ: 200216186) 2019 წლის 28 მაისის №47-05/19 მომართვა (რეგისტრაციის № 5720), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში დარეგისტრირება. შპს „ჯავამ“ 2019 წლის 3 და 6 ივნისს წარმოადგინა 2019 წლის 3 და 5 ივნისის № 01-01/19 და № 09-06/19 დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის № 5890 და № 6018), რომლითაც გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 29 მაისის №2038 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ ისინი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „ჯავა“ (ს/ნ: 200216186) 2019 წლის 10 ივნისს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე